სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი **2020 წლის 11 ივნისი**

ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული პანდემიის გამო წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ფორმატთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების თაობაზე.

შესაბამისად, თსუ სენატის სამდივნოს მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ელ. მისამართებზე დაეგზავნათ წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, შესაბამისი მასალებით და ეთხოვათ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, დისტანციურად დააფიქსირებინათ პოზიცია, უჭერდნენ თუ არა მხარს წარმოდგენილ საკითხს.

დისტანციური სხდომის დღის წესრიგი:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №96/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2020 წლის 25 მაისის №42/2020 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: გიორგი ჩაკვეტაძე)

თსუ სენატის სამდივნოში ელ. ფოსტის მეშვეობით, თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგმა **42** წევრმა:

1.ცქიტიშვილი თემური 2. მარგველაშვილი ვლადიმერი 3. რუხაია მიხეილი 4. გაიპარაშვილი ზურაბი 5. გიორგი ჯაფოშვილი 6. მაჭავარიანი ლია 7. ჭალაგანიძე ნინო 8. თაბუაშვილი აპოლონი 9. რუსეიშვილი მანანა 10. ეკა ვარდოშვილი 11. თავხელიძე ილია 12. საბაური ლევანი 13. მუკბანიანი ომარი 14. ონიანი ირაკლი 15. ცანავა ქეთევანი 16. გეგეჭკორი არნოლდი 17. ზაქარიაძე ანასტასია 18.ყალიჩავა კობა 19.ჟვანია ირინე 20.ლომიძე ნოდარი 21. გოგსაძე გიორგი 22. ლორია კახაბერი 23. თუთბერიძე ბეჟანი 24.ხუციშვილი მარინე 25. არჩვაძე ნათელა 26. ბჟალავა ელისაბედი 27. ნემსაძე ადა 28. ხოხობაია მერაბი 29. ხუციშვილი სოფიო 30. სუმბაძე ციური 31. ბერაძე თამარი 32. ოთხმეზური გიორგი 33. ხუციშვილი დინა 34. ქიტუაშვილი თინა 35. ახალბედაშვილი ლალი 36. აბესაძე ნინო 37. კაკულია ნაზირა 38. თვალაძე

მარიამი 39. ჯავახიშვილი არჩილი 40. ბებერაშვილი ელენე 41. კეჟერაშვილი შოთა 42. გაბაშვილი ალექსანდრე (დანართი 1)

წარმომადგენლობითი საბჭოს 42 წევრმა მხარი დაუჭირა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

შესაბამისად, მიღებულად ჩაითვალა შემდეგი გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №96/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2020 წლის 25 მაისის №42/2020 დადგენილება (დანართი 2)

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი -	ვლადიმერ მარგველაშვილი
წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი	გიორგი ჩაკვეტაძე

დანართი 1

2020 წლის 11 ივნისის დისტანციური სხდომის ფორმატში (ელ.ფოსტის გამოყენებით) მონაწილე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

აბესაძე ნინო -

კაკულია ნაზირა -

საბაური ლევანი

ხოხობაია მერაბი -

სტუდენტები:

ბერაძე თამარი -

ჯაფოშვილი გიორგი -

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

არჩვაძე ნათელა -

თუთბერიძე ბეჟანი -

მაჭავარიანი ლია -

გეგეჭკორი არნოლდი -

მუკბანიანი ომარი -

თავხელიძე ილია -

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

ყალიჩავა კობა -

სტუდენტები:

ონიანი ირაკლი -

ჯავახიშვილი არჩილი -

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

მარგველაშვილი ვლადიმერი -

ქიტუაშვილი თინა -

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

გოგსაძე გიორგი -

ჭალაგანიძე ნინო -

სტუდენტები:

ბებერაშვილი ელენე -

გაბაშვილი ალექსანდრე -

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ჟვანია ირინე -

სტუდენტები

ცანავა ქეთევანი -

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ლორია კახაბერი -

ზაქარიაძე ანასტასია -

ბჟალავა ელისაბედი -

ოთხმეზური გიორგი -

რუსეიშვილი მანანა -

ვარდოშვილი ეკა -

თაბუაშვილი აპალონი -

სტუდენტები

თვალაძე მარიამი -

კეჟერაშვილი შოთა -

ხუციშვილი დინა -

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

გაიპარაშვილი ზურაბი -

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

სუმბაძე ციური -

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

ცქიტიშვილი თემური -

ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი

ახალბედაშვილი ლალი -

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

ხუციშვილი მარინე -

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნემსაძე ადა -

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რუხაია მიხეილი -

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

ხუციშვილი სოფიო -

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;

ლომიძე ნოდარი -

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 42/2020 25 მაისი 2020წ.

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №96/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56–ე მუხლის მე–2 ნაწილის, 57–ე მუხლისა და 63-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,წ" ქვეპუნქტის, მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 25 მაისის №10 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №96/2016 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში:

ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის 10^1 მუხლი:

,,მუხლი 10^1. არჩევნების ჩატარების ალტერნატიული პროცედურები

1. ქვეყანაში საგანგებო, საომარი ან ისეთი მდგომარეობის არსებობისას, რომელიც ზღუდავს ფიზიკურ პირთა გადაადგილებას, შეკრებას და შესაბამისად წინამდებარე აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესით გათვალისწინებული დებულებების შესრულების უზრუნველყოფას, აკადემიური საბჭოს წევრთა საარჩევნო პროცედურა საარჩევნო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებით შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების გამოყენებით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აუცილებლობის არსებობისას და საარჩევნო კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში:
ა) საარჩევნო კომისიის სხდომები ტარდება დისტანციურად, კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით;
ბ) მე-8 მუხლით გათვალისწინებული კანდიდატთა რეგისტრაცია ხდება საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმატით;

გ) არჩევნების პროცედურა ტარდება და არჩევნების შედეგების შეჯამება ხდება მე-9 მუხლის, მე-10 მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტების დებულებების გათვალისწინების გარეშე, ხმის მიცემის ონლაინ პლატფორმის საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს ხმის მიმცემის სრულფასოვან იდენტიფიკაციას (მათ შორის პირადობის მოწმობის წარდგენით) და ხმის მიცემის სრულ ფარულობას;

დ) მე-10 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემაჯამებელი ოქმი საარჩევნო კომისიის მიერ ივსება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

დ.ა) ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიების მიხედვით;
დ.ბ) კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა;
დ.გ) შესაბამისი კომპიუტერული პროგრამით მიღებული ხმების რაოდენობა;
დ.დ) შესაბამისი კომპიუტერული პროგრამით მიღებული ისეთი ხმების რაოდენობა, სადაც გაურკვეველია ხმის მიმცემის არჩევანი ან დადებითი ხმა მიცემულია იმაზე მეტ კანდიდატზე რამდენის არჩევის უფლებაც ჰქონდა - ბათილი ხმა;
დ.ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
დ.ვ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

ე) მე-13 მუხლით გათვალისწირებული არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს, არა უგვიანეს 23:00 საათისა. არჩევნების შედეგების აქტი ქვეყნდება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.";

ბ) მე-16 მუხლი ამოღებულ იქნეს.

2. წინამდებარე დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ–ს კანცელარიას.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

N 6956/10
04/06/2020

6956-10-3-202006041506

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №96/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2020 წლის 25 მაისის №42/2020 დადგენილებას.

დანართი: 2 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი